ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

18 ივნისი 2024

N111914

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს "მონადირე"-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

შპს "მონადირე"-ს მიერ (შემდგომ - სუბიექტი; ს/ნ 406208660, მისამართი: ქ.თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის 48დ) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2024 წლის 11 ივნისს წარედგინა.

სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, იგი წარმოადგენს IV კატეგორიის საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით დამტკიცებული წესით (შემდგომ - წესი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამოარკვია:

კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, „სდპ-ები და პირველი კატეგორიის საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად". ამავე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, „მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად." ხოლო, მეოთხე კატეგორიის საწარმოები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ სამსახურის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამავე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, მეოთხე კატეგორიის საწარმოებსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს უფლება აქვთ, გამოიყენონ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs) ან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS). სუბიექტმა, რომლის მიერ ციფრულად მითითებული იქნა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs), ან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS), არ წარმოადგინა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც უნდა მომზადდეს მის მიერ არჩეული სტანდარტის შესაბამისად. სუბიექტის მიერ არ არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების ანგარიშგება.

კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული დარღვევა იწვევს სუბიექტის დაჯარიმებას, ხოლო ამავე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, ფულადი ჯარიმის ნაცვლად სამსახური უფლებამოსილია სანქციის სახით გამოიყენოს წერილობითი გაფრთხილება. წერილობითი გაფრთხილების შეუსრულებლობა იწვევს სუბიექტის დაჯარიმებას.

კანონის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება.
2. სუბიექტს დაევალოს წარადგინოს კანონით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად მომზადებული ანგარიშგება ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
3. მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას.
4. ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ.თბილისი, გორგასლის N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახური